89 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.

გამოცემის საიუბილეო, 90-ე წელი!

## 89 წელი თქვენთან ერთად!



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
**ვახუშტი ბაგრატიონი**

# თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №7 (7084) 15 მარტი 2023 წელი ● Facebook გაზეთი თერჯოლა

## „თითოეული ჩვენგანის მოქალაქეობრივი ვალია ომში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებზე ზრუნვა, ყურადღება და თანადგომა“...

**გაზაფხულის შემობრძანება და ქალთა დღესასწაულები — 3 მარტი დედის დღე და 8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღე მოკრძალებული საჩუქრებით მიულოცა ასობით თერჯოლელ ქალბატონს თერჯოლის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ.**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილესთან, მირზა ქოჩიაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, დავით გოგბერაშვილთან ერთად, იმ გმირების ოჯახებს ესტუმრა, რომლებმაც სიცოცხლე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლას შესწირეს.

ხელმძღვანელმა პირებმა გმირების დედებსა და ოჯახებს ქალთა დღესასწაულები მიულოცეს, ასევე ყვავილები და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

**„ვფიქრობ, თითოეული ჩვენგანის მოქალაქეობრივი ვალია ომში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებზე ზრუნვა, ყურადღება და თანადგომა“**—აღნიშნა მერის მოვალეობის შემსრულებელმა მანუჩარ რობაქიძემ.

მანუჩარ რობაქიძის ინიციატივით, სიმბოლური საჩუქრები გადაეცა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქალბატონებს, მათ შორის ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლებს. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა თითოეულ მათგანს მადლობა გადაუხადეს გაწეული სამსახურისთვის.

## მანუჩარ რობაქიძე მუნიციპალიტეტში გარდამავალი და ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ...

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ, როგორც ეს ხაზგასმით აღნიშნა ცენტრალური ხელისუფლების არაერთმა რგოლმა, წარმატებით დაასრულა გასული საბიუჯეტო წელი ყველა საფინანსო-ეკონომიკური თუ თემატური მიმართულებით. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შედეგებია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების თვალსაზრისით, რაც კარგი საფუძველია მიმდინარე წელს დაგეგმილი სამუშაოებისათვის.**

როგორც რესპუბლიკური საინფორმაციო საშუალებებით, ისე ჩვენს გაზეთთან საუბარში, მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა მანუჩარ რობაქიძემ განაცხადა: „ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტში აქტიურ ფაზაშია მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების სამუშაოები, როგორც გასული წლის გარდამავალ ხუთ, ასევე მიმდინარე წლის ახალ ექვს ობიექტზე, რომელსაც დაემატება მეშვიდე ობიექტი „ჩხარის წყალი“. ყველა ეს სამუშაო 7,0 მლნ. ლარის მოცულობისაა. ახალი პროექტებიდან ექვსი პროექტი საგზაო ინფრასტრუქტურაა, კერძოდ კი კვახჭირის, გოდოგნის, ბარდუბნის, ალისუბნის და თავასის გზები. ამ დღეებში, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილთან ერთად, ადგილზე გავეცანით სამუშაოების მიმდინარეობას როგორც გარდამავალ, ისე ახალ ობიექტებზე. ეს ობიექტებია: სოფლების ღვანკითის, კვახჭირის და ბარდუბნის გზები. ჩვენთან ერთად მონიტორინგის პროცესში ჩართული იყვნენ ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატები ელისო მურადაშვილი, შალვა ჭანკვეტაძე, სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი მაია თორთლაძე, მერის წარმომადგენლები.

იმისათვის, რომ ყველა პროექტი, შესრულების როგორც ხარისხში, ისე შესრულების ვადების დაცვის მხრივ იყოს მაღალეფექტური, ჩვენი ყურადღება სამუშაოების მიმდინარეობის ყველა ეტაპზე იქნება მაქსიმალური, როგორც სისტემური მონიტორინგის, ისე პერიოდულად წამოჭრილი პრობლემების ოპერატიულად გადაწყვეტის თვალსაზრისით“.

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში** ☞2

**ქრონიკები ჩვენი წინამორბედების ფურცლებიდან...** ☞3

**ჩვენებურები ჩვენებურებზე...** ☞4

**წარმოგიდგენთ თერჯოლის საპატიო მოქალაქეებს**

საახალწლოდ, თერჯოლის საპატიო მოქალაქეობა მიენიჭა ოთხ თერჯოლელს: ნარგიზ ცქიფურიშვილს, პაატა მხეიძეს, ომარ ნიშნიანიძეს და დემირ დოლაკიძეს.

„თერჯოლა“ ამჯერად წარმოგიდგენთ **ომარ ნიშნიანიძეს.** ☞5

**გაიცანით, ეს ანა ბეღელაძეა!** ☞6


**ჩვენი გაზეთის მომავალი ნომერი საიუბილეოა!**

# თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

**1 მარტს გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.**

დეპუტატებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი 6 საკითხის შესახებ იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტებს:

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

ქ. თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული სკვერისათვის ლაშა გოგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

თვითმმართველი თემის-თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 29 აპრილის რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (სოფელ გოდოგანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 116602.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N33.03.40.294) 2000.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი საიჯარო ფართობის მდებარეობის სიტუაციური ნახაზის მიხედვით) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გასხვისებაზე.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის Nგ-29.292301115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

სხდომას მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

**მაღალი საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, დღევანდელ ნომერში აქვე სრულად გთავაზობთ საკრებულოს სხდომის მიერ მიღებულ ორ განკარგულებას.**

## თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
## განკარგულება გ-29. 29230604

**01.03. 2023**

### ქ. თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული სკვერისათვის ლაშა გოგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგიაშვილი არის სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც აქვს დიდი დამსახურება თერჯოლის წინაშე და მიზანშეწონილად მიაჩნია ქ.თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებულ სკვერს მიენიჭოს ლაშა გოგიაშვილის სახელი.

შესაბამისად, ლაშა გოგიაშვილის სახელის უკვდავყოფის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის შესაბამისად,მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის მანუჩარ რობაქიძის 2022 წლის 8 ნოემბრის წერილის N28-282231281 თანახმად, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2023 წლის 08 თებერვლის სხდომის N 35 ოქმის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

**მუხლი 1.** მიენიჭოს სახელმწიფო მოღვაწის ლაშა გოგიაშვილის სახელი ქ.თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებულ სკვერს.

| x | y |
|---|---|
| 332836.14 | 461944.92 |

**მუხლი 2.** განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას, რომელიც 4 თვის ვადაში უზრუნველყოფს კონკრეტული ღონისძიებების გატარებას (აბრის, რუკის, ცნობარის და სხვა დამზადებას, კორექტირებას და ა.შ)

**მუხლი 3.** განკარგულება გაეგზავნოს თერჯოლის №49 საოლქო-საარჩევნო კომისიას, გარდაცვლილის ოჯახს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;

**მუხლი 4.** განკარგულება გამოქვეყნდეს ადგილობრივ გაზეთში და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში.

**მუხლი 5.** განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**გიორგი ბარათაშვილი**
**თერჯოლის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე**

## თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
## განკარგულება გ-29. 29230603

**01.03. 2023**

**თვითმმართველი თემის-თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 29 აპრილის რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2023 წლის 20 თებერვლის N 16/2023 განკარგულებით თვითმმართველი თემის -თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნები დაინიშნა 2023 წლის 29 აპრილს.

შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად ევალებათ არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში გამოყონ და გამოაქვეყნონ იმ ადგილებისა და სტენდების ჩამონათვალი, სადაც საარჩევნო სუბიექტებს შეეძლებათ საარჩევნო პლაკატების გაკვრა და გამოფენა, აგრეთვე იმ შენობა–ნაგებობების ნუსხის განსაზღვრა, სადაც საარჩევნო სუბიექტებისათვის შესაძლებელია საარჩევნო ღონისძიებების გამართვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი"–ს 45–ე მუხლის მე–8, მე-9 პუნქტების, 46–ე მუხლისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

**მუხლი 1.**

1. თვითმმართველი თემის-თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 29 აპრილის რიგგარეშე არჩევნებისათვის საარჩევნო ღონისძიებების გასამართავად გამოიყოს:

ა) ა(ა)იპ — თერჯოლის კულტურის სახლთან არსებული დარბაზი (მისამართი: ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქუჩა ქ. №7).

ბ) ა(ა)იპ — თერჯოლის სპორტულ–გამავჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის ადმინისტრაციული შენობის დარბაზი (მისამართი: ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. N103);

გ) ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალურ ცენტრთან არსებული დარბაზი (მისამართი: ქ. თერჯოლა, მერაბ კოსტავას ქუჩა ქ. №4).

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატებისა და ბანერების გასაკრავად და გამოსაფენად გამოიყოს შემდეგი ადგილები:

ა) ქ. თერჯოლისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ტერიტორიაზე არსებული მგზავრთა მოსაცდელები;

ბ) მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული გარე განათების ბოძები;

გ) რუსთაველის ქუჩაზე შუქნიშნიდან ავტოსადგურის მიმართულებით (მარცხენა მხარეს) არსებული კედელი;

დ) ყოფილი კინოთეატრ „გამარჯვების“ ადმინისტრაციული შენობა;

3. ბეჭდვითი სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს სხვა შენობა–ნაგებობებსა და ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

**მუხლი 2.** აიკრძალოს საარჩევნო პლაკატებისა და ბანერების გაკვრა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ:

ა) საკულტო ნაგებობებზე;

ბ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოს, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების, საჯარო სკოლების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში;

გ) მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (ა.(ა).ი.პ), რომლებიც ეწევიან სააღმზრდელო და საგანმანათლებლო საქმიანობას, ადმინისტრაციული შენობების კედლებზე;

დ) იმ დაწესებულებების ადმინისტრაციული შენობების კედლებზე, რომლებიც გამოიყენება და დროებით სარგებლობაში გადაეცემათ თერჯოლის №49 საოლქო-საარჩევნო კომისიას - შემდგომში საარჩევნო უბნების განთავსებისათვის.

ე) საგზაო ნიშნებზე.

**მუხლი 3.** დაევალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს უზრუნველყოს, თერჯოლის №49 საოლქო საარჩევნო კომისიას უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში აუქციონის გარეშე გადასცეს, როგორც, ამ განკარგულების პირველი მუხლით განსაზღვრული საარჩევნო ღონისძიებების გასამართავად გამოყოფილი შენობა-ნაგებობები (დარბაზები), აგრეთვე მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სხვა შენობა-ნაგებობები, მათში განთავსებული ინვენტარით - შემდგომში, საარჩევნო უბნების განთავსებისა და ფუნქციონირების მიზნით. ამავდროულად მერია ვალდებულია დაფაროს გადაცემული შენობა- ნაგებობ(ებ)ის კომუნალური ხარჯები.

**მუხლი 4.** განკარგულება გადაეგზავნოს თერჯოლის №49 საოლქო საარჩევნო კომისიას სახელმძღვანელოდ და ცესკოს - ვებ გვერდზე გამოქვეყნებისათვის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

**მუხლი 5.** მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს ამ განკარგულების გამოქვეყნება ვებ-გვერდზე და ადგილობრივ პრესაში.

**მუხლი 6.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. №7).

**მუხლი 7.** განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

**გიორგი ბარათაშვილი**
**თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

## ქრონიკები ჩვენი წინამორბედების ფურცლებიდან...




**გასული, XX საუკუნის, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.**

# გამოცემის საიუბილეო, 90-ე წელი!

ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად, „თერჯოლის“ რედაქციის კოლეგიის გადაწყვეტილებით, ვიწყებთ მასალების გამოქვეყნებას ჩვენი წინამორბედების ფურცლებიდან.

სამწუხაროდ, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ჩვენი პირველი წინამორბედის, **პირველი მემატიანის „ჩხარის კოლმეურნის“ მხოლოდ 1934 წლის 12 თებერვლის** ნომერი მოვიპოვეთ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, პირადად ქალბატონ მაია მიქაბერიძეს. ამჯერად, ჩვენი უძველესი გაზეთის მესამე გვერდს გთავაზობთ. „თერჯოლას“ მომდევნო ნომრებში კი სხვა გვერდებსაც გაგაცნობთ. ვფიქრობთ, მუნიციპალიტეტის (რაიონის) წარსულის ამ ქრონიკებს ინტერესით გაეცნობა ჩვენი მკითხველი.

ტექსტები დედნების იდენტურია.

# ჩხარის რაიკოოპკავშირის მესამე ყრილობა

## *ბოლშევიკურად ჩატარდა*

## მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ საქონელ ბრუნვის მოწესრიგებას

**„საქონელბრუნვის ეხლანდელ მდგომარეობას არ შეუძლია მომხმარებლები დააკმაყოფილოს, ამიტომ ამოცანა ისაა, რომ კიდევ უფრო მეტად გავაჩაღოთ საბჭოთა ვაჭრობა, ჩავაბათ ამ საქმეში ადგილობრივი მრეწველობა, გავშალოთ საკოლმეურნეო-გლეხური ვაჭრობა და საბჭოთა ვაჭრობის აღმავლობის დარგში ახალ გადამწყვეტ წარმატებებს მივაღწიოთ“ (სტალინი).**

## რაიკოოპკავშირის მუშაობის მაღალ საფეხურზე აყვანისათვის

მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს ვეღარ აკმაყოფილებს კოოპკავშირის მუშაობის არსებული მდგომარეობა. იგი უნდა გარდაიქმნას იმ გვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას გაშლილი საქონელბრუნვა ქალაქსა და სოფელს შორის“. საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას საქონლის მექანიკურად მონაწილეობის შემთხვევები. მოხდეს ასორტიმენტის მოთხოვნების უგულვებელყოფის სრული ლიკვიდაცია, უნდა მივაღწიოთ ვაჭრობაში გაუპიროვნების ლიკვიდაციას იმ ანგარიშით, რომ საქონელი მივიდეს მომხმარებლებამდე. თუ საქონელი მომხმარებლამდე ვერ აღწევს, ეკონომიური ცხოვრება არა თუ მძლავრად მჩქეფარე არ იქნება, არამედ პირიქით, დაირღვევა და ბოლომდე დეზორგანიზებული იქნება ბოლოს და ბოლოს უნდა გავიგოთ, რომ საქონელი საბოლოო ანგარიშით მზადდებოდა არა წარმოებისათვის, არამედ მომხმარებლისათვის (სტალინი), იყო თუ არა ასეთი შემთხვევები, რომ საქონელი იყო, მაგრამ მომხმარებლამდე არ მიდიოდა? იყო, სხვას რომ თავი დავანებოთ, რაიკოოპკავშირმა ვერ უზრუნველყო წელს ნივთის შემოზიდვა.

„საბჭოთა ვაჭრობის გაშლა წარმოადგენს იმ უაღრესად აქტუალურ ამოცანას, რომლის გადაუჭრელადაც შეუძლებელია შემდგომი წინსვლა“ (სტალინი). საბჭოთა ვაჭრობის გაშლის ამოცანა მჭიდროდ არის დაკავშირებული სავაჭრო ქსელის გაშლასა და მის გაჯანსაღებასთან. საჭიროა გაიზარდოს ბაზების მაღაზიებისა და ფარდულების რიცხვი, რომელთა საშუალებითაც „შეუჩერებლივ უნდა სწარმოებდეს საქონლის ცირკულაცია წარმოების ადგილიდან მომხმარებლამდე“ (სტალინი). დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ საბჭოთა ვაჭრობის შეუფასებლობის შემთხვევებს, უნდა ვიცოდეთ, რომ იგი ჩვენი საკუთარი, ბოლშევიკური საქმეა, ხოლო ვაჭრობის მუშაკები, მათ შორის დახლის მუშაკები, მხოლოდ თუ ისინი პატიოსნად მუშაობენ,—ჩვენი რევოლუციური ბოლშევიკური საქმის გამტარებელია (სტალინი). რაიკოოპკავშირმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს ადგილობრივ ტრანსპორტის მოქნილების საქმეს, რათგან „ტრანსპორტი—როგორც ეს გენიალურად დაახასიათა ამხ. სტალინმა XVII პარტყრილობაზე—წარმოადგენს იმ ვიწრო ადგილს, რომელზედაც შეიძლება წაიფორხილოს და შეიძლება ითქვას უკვე ფორხილობს ჩვენი ეკონომიკა და უწინარეს ყოვლისა ჩვენი საქონელბრუნვა“.

ჩხარის რაიკოოპკავშირის სარაიონო ყრილობა ჩატარდა რა ძალთა დარაზმვის, მუშაობის ბოლშევიკურად გარდაქმნის და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის ნიშნის ქვეშ, დაისახა მომავალი მოქმედების პროგრამა, რომელიც წარმოადგენს „ს.კ.პ.(ბ) ცეკას დადგენილებათა და მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ამხ. სტალინის მითითებათა რეალიზაციას.

## მე-3 ყრილობა

5 თებერვალს გაიხსნა ჩხარის რაიკოოპკავშირის მესამე ყრილობა. ყრილობამ საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩია ამხ. სტალინი, მოლოტოვი, კალინინი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, პოსტიშევი, კიროვი, კუიბიშევი, კოსიორი, რუძუტაკი, ორჯონიკიძე, ბერია, ტელმანი, მგალობლიშვილი და ამირაღოვი. საქმიანი პრეზიდიუმის, სამდივნოსა და სამანდატო კომისიის არჩევის შემდეგ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაიკოოპკავშირის თავმჯდომარე ამხ. გრ. ფანჩულიძე. თანამოხსენებით გამოვიდა ბაზის წარმომადგენელი ამხ. ღოღობერიძე. მოხსენების დამთავრების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღო 13 დელეგატმა, სულ ყრილობას ესწრებოდა 90 დელეგატი. გაიშალა ბოლშევიკური თვითკრიტიკა. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ კოოპკავშირმა გასულ წელთან შედარებით არსებითად გარდაქმნა მუშაობა, რაც გამოიხატება მის რიცხობრივ და ხარისხობრივ ზრდაში. ამ მიღწევებთან ერთად აღნიშნა დეფექტებიც, რომელთა შორისაც მნიშვნელოვანია ის, რომ რაიკოოპკავშირი საგრძნობლად ჩამორჩება საქონელბრუნვის საქმეში, ხშირია შემთხვევები, რომ საქონელი გვაქვს, მაგრამ ასეთი მომხმარებლებამდე ვერ მიდის, მაგალითად ნავთი, მარილი და სხვა. მოკამათეებმა გამოამჟღავნეს ცალკეულ კოოპერატიული მუშაობის მოუქნელი მუშაობის შემთხვევები, ბოროტმოქმედებისა და ბიუროკრატიულ ჩინოვნიკური მუშაობის ფაქტები და სხვა. განსაკუთრებით ხაზი გაესვა ზესტაფონის სახბანკის გულგრილ დამოკიდებულებას ჩხარის რაიკოოპკავშირისადმი.

ყრილობამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება, დაამტკიცა 1933 წ. წლიური ანგარიშის დასკვნითი ბალანსი და 1934 წლის სავაჭრო-საფინანსო გეგმა. დასასრულ ყრილობამ დააჯილდოვა საუკეთესოდ მომუშავე სოფ. კოოპერატივები, რომელთაც მაღალ ხარისხობრივ მაჩვენებლებს მიაღწიეს კოოპერატიულ მუშაობის დარგში. გარდამავალი დროშა თერჯოლის კოოპერაციას, გაისმა თავმჯდომარის ხმა, დელეგატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ თერჯოლის კოოპ. გამგეობის თავმჯდომარის ამხ. კაჭკაჭოვის გამოჩენას სცენაზე. მეორე ჯილდო, რომელიც განისაზღვრა 500 მან. ფულით და 5 ათასი მანეთის საქონლით მიეცა ჩხარს. ჩატარდა არჩევნები. თავმჯდომარედ არჩეული იქნა ამხ. გრიგოლ ფანჩულიძე.

ყრილობამ რაიკოოპკავშირის გამგეობაში ერთხმად აირჩია შემდეგი ამხანაგები: ფანჩულიძე გრიგოლ (თავ-რეთ), დ. სიმონგულოვი, ა. ჩიკაშუა. იულია ხეცაძისა, გ. ვერულაშვილი, შ. ფირალაშვილი და გრ. დემურია. კანდიდატებათ კი: არჯევანიძე მიშა და სიმონგულოვი მარო.

სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ: ვ. ნემსიწვერიძე, ვ. აბესალაშვილი და ამბრ. გიგაშვილი. კანდიდატებათ კი: დ.ზარნაძე და პ. ცინაძე.

რაიკოოპკავშირის გამგეობის ახალმა შემადგენლობამ აღუთქვა ყრილობას მიღებულ ღონისძიებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

## სასოფლო კონფერენციები კარგი ხარისხით ჩატარდა

ჩხარის რაიკოოპკავშირმა მასიურ პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლით მიაღწია სასოფლო კოოპერაციათა კონფერენციების ბოლშევიკურად ჩატარებას. კონფერენციებს წინ უსწრებდა საუბნო კრებები და მიმაგრებულ ამხანაგების თათბირები. ჩატარდა 23 საუბნო კრება. დასწრების პროცენტი უდრის 97. კონფერენცია ჩატარდა ხუთგან, იგი დასრულდა 28 იანვარს. დელეგატების დასწრება კარგია, სადუქნო კომისიები, კოოპბიუროები, გამგეობები და სარევიზიო კომისიები არჩეულ იქნა ქალთა და პარტკომკავშირული სათანადო პროცენტების დაცვით.

რაიკოოპკავშირმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ბაღდადის რაიონი საანგარიშო საარჩევნო კამპანიის უკეთ ჩატარების მიზნით და აგრეთვე ასეთი გაშლა სოფლის კოოპერატივების თანამშრომლებს შორის, საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით რაიკოოპკავშირმა აიღო საბრძოლო ვალდებულებანი, რომ ცენტრი სოუზის ყრილობის მოწვევის დღემდე (25 თებერვალი) შეასრულებს პირველი კვარტალის ბრუნვის საკონტროლო ციფრების 70 პრ. საპაიოს 75 პრ, დამზადებათა გეგმებს როგორც ცენტრალიზებულის, ისე დეცენტრალიზებულს შეასრულებს მთლიანად და გადაჭარბებით. ჩხარის რაიკოოპერატიულმა მუშაკებმა ეს ვალდებულება პირველ რიგში უნდა შეასრულონ.

**სიმონგულოვი.**

## გარდამავალ დროშას არავის დაუთმობთ

ჩვენ თერჯოლის სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობა უდიდესი ენთუზიაზმით ვხვდებით გარდამავალი დროშის მიღებას. მომავალშიდაც ენერგიულად ვიბრძოლებთ საბრძოლო დავალებების შესასრულებლად, კიდევ უფრო შემოვიკრიბავთ ძალებს, გავშლით შრომის სოციალისტური ფორმების დამკვრელობა—სოცშეჯიბრებას, რომლის საფუძველზედაც შემდეგ ყრილობასაც საუკეთესო მაჩვენებლებით შევხვდებით. გამგეობა კისრულობს შემდეგ ვალდებულებათა გატარებას:

1. მიმდინარე წლის დავალებებს შევასრულებთ თავის დროზე და გადაჭარბებით. პირველი კვარტალის გეგმას კი ვასრულებთ 20 თებერვლამდე.

2. დავრაზმავთ კოოპერატიულ აქტივს საბრძოლო ამოცანების გარშემო.

3. დავაჩქარებთ საქონლის ბრუნვას და სრული ასი პროცენტით შევასრულებთ მოცემულ საკონტროლო ციფრს ამ დარგში.

4. კოოპერატიულ წერტებს უხელმძღვანელებთ კონკრეტიულ ოპერატიულად და არ დაუშვებთ არავითარ დამახინჯებებს.

5. ფართოდ გავშალოთ შრომის სოციალისტურ ფორმებს დამკვრელობა სოცშეჯიბრებას მოცემულ გეგმების ხარისხობრივად შესასრულებლად.

6. საქონლის ლიმიტს (საწოლის შემთხვევებს) შევამცირებთ მინიმუმამდე.

7. შევამცირებთ ხარჯებს.

8. ყოველგვარ ხუთდღიურ და დეკადურ ცნობებს და დაუგვიანებლად უგზავნით რაიკოოპკავშირს.

9. ანგარიშწარმოებას დავაყენებთ სათანადო სიმაღლეზე.

10. შევასრულებთ წევრთა შეკავირების გეგმას 1 კვარტალისას 20 თებერვლამდე გადაჭარბებით.

**გამგეობის თავ-რე კაჭკაჭოვი.**

# ჩვენებურები ჩვენებურებზე...

**„ჩვენებურები“—ამ რუბრიკით „თერჯოლის“ მკითხველი ჩვენი მუნიციპალიტეტის არაერთ იმ მკვიდრს ეცნობა, ვინც ღირსეული კვალი დატოვა ან ტოვებს ჩვენი სამშობლოს თუ რაიონის ცხოვრების ისტორიაში...**

**წლევანდელ წელსაც მოგითხრობთ გამორჩეულ თერჯოლელებზე...**

**„ჩვენებურები ჩვენებურებზე“—ასე დავარქვით თქვენთვის ამჯერად შემოთავაზებულ პუბლიკაციას, რომელიც მამა-შვილის, გელა და გოჩა საითიძეების შესახებ მოგითხრობთ. ბევრი ვიფიქრეთ თუ როგორ წარმოგვედგინა ისინი თქვენთვის. ბოლოს, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ცნობილ მამა-შვილზე საინტერესო ინფორმაცია გამოქვეყნებული გვაქვს ჩვენი გაზეთის 2019 წლის სექტემბერის ნომერში, გადავწყვიტეთ—ამჯერად, თქვენთვის შემოგვთავაზებინა სიტყვა, რომელიც მათ თაობაზე იმავე წელს, ალ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმოვთქვი, სადაც პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების და საზოგადოების ფართო წარმომადგენლობით გაიმართა პროფესორების, მამა-შვილ გელა და გოჩა საითიძეების წიგნის „სიმონეთი და მისი ერთი „ნიჭით დაჯილდოებული ოჯახი“ პრეზენტაცია.**

„მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო! მშვიდობას გისურვებთ... ყოველდღე იმის კეთების საშუალება მოგვცეს უფალმა, რაც ხელგვეწიფება, შეგვიძლია, გარჯის ნაყოფი კი ჩვენ და ხალხს კეთილად წაადგება.

ჩვენდა სამწუხაროდ, სასურველი რეალობა კარგა ხანია არ გვქონია ქართველობას, გავთითოკაცდით, გავუუცხოვდით ერთმანეთთან, დავუპირისპირდით ერთმანეთს, რადგან ბევრ შემთხვევაში კუჭმა გაიმარჯვა გონებაზე...

საბედნიეროდ, ჩვენს საზოგადოებაში მაინც არიან ადამიანები, რომლებიც მაქსიმუმს იღებენ იმისათვის, რომ აკეთონ კარგი საქმეები და ეს მათთვის, შინაგანი მოთხოვნილება და ცხოვრების წესია.

დღევანდელი საპრეზენტაციო წიგნის ავტორებს, მამა-შვილს, ბატონ გელა და გოჩა საითიძეებს ამ ზაფხულის ერთ ცხელ დღეს შევხვდით. შეხვედრა, როგორც შემდეგ, გაზეთ „თერჯოლაში“ ვწერდით, „თანაბარაჩქარებულ“ რეჟიმში წარიმართა. მოკლე საუბარი მოვასწარით მხოლოდ და დიდი მადლიერებით, ჩვენს სიმონეთზე და კლდიაშილების ერთ გამორჩეულ ოჯახზე მათი მშვენიერი წიგნიც მივიღეთ საჩუქრად.

ამ შეხვედრის და წიგნის თაობაზე წერილიც დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში სათაურით — „გელა და გოჩა საითიძეები — სამშობლოს კაცები!“

სწორედ ასე ვუწოდეთ იმ საგაზეთო პუბლიკაციას. თუ როგორ უყვართ მშობლიური მიწა-წყალი ამ ადამიანებს, ეს ამ წიგნიდანაც კარგად ჩანს და მათი მოღვაწეობითაც.

თავს უფლებას ვაძლევთ, რომ აქ, ამ დარბაზში, სადაც დღეს შევიკრიბეთ მამა-შვილის ამ მშვენიერი წიგნის გამო—თერჯოლელების, კერძოდ კი სიმონეთელების და რა თქმა უნდა შალიკაშვილ-კლდიაშვილების გვარის სახელით, განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა მათ, სიმონეთის და მისი ერთი მართლაც რომ ნიჭით დაჯილდოებული ოჯახის ასე შთამბეჭდავად წარმოდგენისათვის.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ბატონო გელა და გოჩა...

ახლა კი მინდა ამ სოფელსა და ამ ღირსეულ ოჯახთან დაკავშირებული ორი ფაქტის შესახებ მოგითხროთ. ვფიქრობ, მათი აქ გაჟღერებდა უინტერესო არ იქნება.

ერთი ამბავი სიმონეთის თემაზეა. წლების წინ მქონდა ბედნიერება თანამოაზრეებთან: სოფელ ქვ. სიმონეთის გამგებელ აწგარდაცვლილ ნოდარ აბულაძესთან, ასევე აწ გარდაცვლილ ცნობილ ტენორ, საქართველოს სახალხო არტისტ ვაჟა კუბლაშვილთან და სასულიერო პირ რამაზ გიორგაძესთან ერთად ვყოფილიყავი ამ საორგანიზაციო ჯგუფში, რომელმაც ერთმანეთთან დააკავშირა და შემდეგ დაამეგობრა თერჯოლის სიმონეთი და აჭარის ხელვაჩაურის რაიონის მახოს თემის სოფელი სიმონეთი. განზრახული გვქონდა თურქეთის სიმონეთის დაძიებაც, მაგრამ სამწუხაროდ, გარკვეული მიზეზების გამო ეს იმჟამად ვერ მოვახერხეთ.

თავის დროზე ამ სოფლების დამეგობრებას „იმერეთის მოამბე“-ს რამდენიმეგვერდიანი ჩანართიც მივუძღვენით, რომელსაც „სამი სიმონეთი“ დავარქვით, პოეტ ფრიდონ ხალვაშის ამავე სახელწოდების ცნობილი ლექსის მიხედვით. ამ ორი სოფლის მეგობრობის და სოფლის დღესასწაულის — „სომიანეთობის“ აღდგენაზე მოსაზრებები ჩვენ უკვე ვთხოვეთ სოფლის თავკაცს ბატონ ზვიად ბაზაძეს.

ეფრო კლდიაშვილი

სვიმონ კლდიაშვილი

საბა კლდიაშვილი

რაც შეეხება მეორე ამბავს — იგი ქუთაისში — საფიჩხიის სასაფლაოზე საბა კლდიაშვილის ბიუსტს შეეხება, რომელიც 1905 წელს ქუთაისის მმართველობამ დაუდგა ოდესაში, შავრაზმელების მიერ ებრაელების დაცვისათვის, დიდი დარბევისას ვერაგულად მოკლულ ახალგაზრდა პერსპექტიულ მეცნიერს. საქმე იმაში გახლავთ, რომ ეს ბიუსტი, რომელიც რბილი ქვიდან იყო გამოთლილი, დროთა განმავლობაში ძლიერ დაზიანდა.

1985 წელია, ქუთაისის კულტურის სამსახურს ვხელმძღვანელობდი. იმ წელს მთელი საბჭოთა კავშირი რსდმპ 80 წლისთავის აღსანიშნავად ემზადებოდა და ქუთაისიც შესაბამისად, რადგან ასეთი დავალება მოსკოვიდან მოდიოდა. სხვა ღონისძიებებთან ერთად გადაწყდა, რომ გრანიტის ქვით შეგვეცვალა ცნობილი რევოლუციონერის ალექსანდრე წულუკიძის ბეტონით ჩამოსხმული ძეგლი. ისე მოვახერხეთ, რომ ამ საქმისათვის მოწვეულ ოსტატებს, ამ „დიდი საბჭოთა“ იუბილის საბაბით, წულუკიძის ძეგლთან ერთად, ქალაქის ცენტრალურ ბაღში, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ჩვენი სასიქადულო პოეტის, აკაკი წერეთლის რბილ ქვაში შესრულებული, ძლიერ დაზიანებული ძეგლიც შევაცვლევინეთ გრანიტში შესრულებულით. პირადად მივაღწიე იმას, რომ ასევე გრანიტში შესრულებულით შევცვალეთ საბა კლდიაშვილის ბიუსტიც, რომელიც ისე როგორც აკაკი წერეთლის ძეგლი, მაღალი საშემსრულებლო ოსტატობის ნიმუშია.

ბევრი სხვაც მქონდა სათქმელი, მაგრამ ეს შემდგომ, როცა ამის დრო და საშუალება უფრო იქნება.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ჩვენთვის მეტად პატივსაცემ ჩვენებურებს, მამა-შვილ ბატონ გელა და გოჩა საითიძეებს. დიდი მადლობა ყველა თქვენგანს, ასე მოთმინებით რომ მომისმინეთ.

**კარგად ბრძანდებოდეთ. მრავალი სასიამოვნო და გამორჩეულად საინტერესო ამბების გამო შეხვედროდით ჩვენებურებს, ადამიანებს ვინც ჩვენი ქვეყნის, ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლასა და შრომას უძღვნიან თავიანთ ცხოვრებას, მოღვაწეობას...**

**წარმატებები მათ!“**

**დავით შალიკაშვილი**
**2019 წელი, სექტემბერი**

## წინასიტყვაობა

### ვუძღვნით ჩვენს ძვირფას თანასოფლელებს

სიმონეთს, იმერეთის მრავალრიცხოვან დასახლებას შორის, თავისი მდებარეობით, ტერიტორიით, მოსახლეობით, ეკლესიების რაოდენობით, ნაყოფიერი ტყეებით, სასმელი და სამკურნალო წყლებით, ბუნებრივი გამოქვაბულებით, სატრანსპორტო გზებით და ხიდებით, ისტორიულად მუდამ გამორჩეული ადგილი ეკავა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ იგი ერთი კონკრეტული სოფლის მოცულობას სცილდება და ისე, როგორც ოკრიბა ან მარგვეთი, მხარეს (რეგიონს) წარმოადგენს.

სიმონეთის სამოურავო და იქ მდებარე XI საუკუნის წმ. გიორგის ეკლესია—სამეფო ოჯახის 10 წლამდე ასაკის გარდაცვლილი წევრების სამუდამო განსასვენებელის ადგილი, იმერეთის სამეფო სახლის მფარველობის ქვეშ იყო, ხოლო ადმინისტრაციულად გელათის მონასტრის დაქვემდებარებაში შედიოდა. სწორედ გაენათელი მღვდელმთავრების ვალდებულებაში წარმოადგენდა ადგილობრივი საერო და სასულიერო თანამდებობის პირთა საქმიანობისადმი თვალყურის დევნება და კონტროლი.




საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ ისტორიული სიმონეთის (სვიმონეთის) ფარგლებში ამჟამად მოქცეული ცხრა სოფელი: ნახშირღელე—ნავენახევთან ერთად, ქვედა სიმონეთი, ბარდუბანი—სათემოსთან ერთად, ზედა სიმონეთი, ეწერი და ძევრი—სეფარეთთან ერთად, ექვს სასოფლო მუნიციპალიტეტშია გაერთიანებული. ადგილობრივი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველებია, რომელთა წინაპრები უძველესი დროიდან აქ ცხოვრობდნენ, ან სხვადასხვა დროს სამცხიდან, ჯავახეთიდან, კლარჯეთიდან, აჭარიდან, გურიიდან, რაჭიდან, ლეჩხუმიდან, ქართლიდან და ა.შ. გადმოსახლდნენ.

წინამდებარე ნაშრომში წარმოვაჩენთ სიმონეთისა და აქაური კლდიაშვილების ერთი გამორჩეული ოჯახის ისტორიას, მისი წარმომადგენლების დამსახურებას ერისა და ქვეყნის წინაშე. „ნიჭით დაჯილდოებული ოჯახი“—წიგნის სათაურად გამოტანილი ეს სიტყვები ჩვენ არ გვეკუთვნის, იგი 1913 წლის 8 მაისს, ქუთაისში გამომავალ გაზეთ „იმერეთში“, ეფროსინე (ეფრო) კლდიაშვილის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ ნეკროლოგშია ნათქვამი.

სიმონეთლების სასახელო რძალი—ეფროსინე ყიფიანი გამორჩეული ოჯახის შვილი იყო. მან, დაქორწინების შემდეგ, თავისი მეუღლის, პოლკოვნილ გრიგოლ კლდიაშვილის გვარი მიიღო და მთელი სიცოცხლის მანძილზე მას ღირსეულად ატარებდა. ეფროსინე და გრიგოლ კლდიაშვილების ოჯახის გამორჩეულობა, მათთან ერთად, მათი ნიჭიერი შვილების სამშობლოსადმი თავდადებულმა სამსახურმაც განაპირობა.

ნაშრომში ფართოდაა განხილული ეფრო კლდიაშვილის ოჯახის ცნობილი წევრების: მისი ძმების—დავით და მიხეილ (მიშო) ყიფიანების, აგრეთვე, შვილების—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ხუროთმოძღვრის სვიმონის, მისი და-ძმების ალექსანდრეს (საბას), მარიამის, ნინოს, ანდრიას, ლუარსაბის, ანასტასიას და სხვ. ცხოვრებამოღვაწეობის მნიშვნელოვანი მომენტები.

# ეროვნული მოძრაობიდან ხელისუფლებაში და მუდამ სტუდენტ-ახალგაზრდობასთან ერთად...

ნიშნიანიძეების გვარის ფესვები ტყიბულის რაიონში, კერძოდ ოკრიბაშია. ორ საუკუნეზე მეტი ხნის წინ ჩამოსახლებულან ნიშნიანიძეები სოფელ ჭოგნარში. ბატონი ომარ ნიშნიანიძეც ჭოგნარში დაიბადა, აქ გაატარა ბავშვობა და ახალგაზრდობა, სკოლაც ჭოგნარში დაამთავრა. „აქტიური, პატარა, ხუმარა, კისერწვრილა“ ბავშვი ვიყავიო იგონებს. „შენ ფიზიკური შრომისათვის არ ხარ დაბადებული, სწავლას მიეძალეო“—უთქვამს შრომის მასწავლებელს და გაითვალისწინა, „მიეძალა“ სწავლას.

ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის ორი კურსი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა, მერე, როგორც წარჩინებული სტუდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადაუყვანიათ, მრავალი წარმატება და აღიარება ჰქონია, მაგრამ ჭოგნარი, წინაპრების: ბასილას, სისონას, მათეს, კირილეს, სიმონას, გიორგის შესახებ ნანახი, ნაამბობ-გაგონილი და საფლავები ბატონ ომარისათვის ყველაფერია. უბნის ბიჭებთან ერთად სოფლის პატარა მდინარეში ბევრჯერ დაუჭერია პატარ-პატარა თევზი: ნაფოტა, ღორჯო, კიბორჩხალა. ბატონ ომარს, ისე როგორც ყველას, ძალიან უყვარს გვარი, ასპირანტურაში სწავლისას გაიცნო ჩვენი ქვეყნის სასიქადულო პოეტი შოთა ნიშნიანიძე, უნიჭიერესი გიზო ნიშნიანიძე, ახლო ურთიერთობა ჰქონია მასთან და ამაყობდა, ისინიც ამაყობდნენ ომარის წარმატებული საქმიანობით.

1978 წელი იდგა. ეროვნული მოძრაობა გააქტიურდა, უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი იყო, ბუნდოვნად აღწევდა ხმა ჰელსინკის კავშირის შექმნაზე, არალეგალურ ჟურნალ-გაზეთებზე, ქვეყანაში ახალი კონსტიტუციის პროექტი მზადდებოდა, რომელსაც უნდა განესაზღვრა ქართული ენის მომავალი სტატუსი—ამ პროექტით, 75-ე მუხლის ახალ ვარიანტში ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი აღარ ჰქონდა, „დაიწყო მისი სახალხო განხილვები, 75-ე მუხლის ახალ ვარიანტზე უარყოფითი დამოკიდებულება დააფიქსირა უნივერსიტეტის რამდენიმე კათედრამ, ბევრმა მეცნიერმა. საპროტესტო ტალღა ძლიერდებოდა სტუდენტთა შორის, გამოიკვეთენ ლიდერები“—იგონებს ბატონი ომარი.



### პირველი აქტივობა ეროვნული თვითშეგნებით

14 აპრილს დილით სტუდენტებმა შეკრება დაიწყეს უნივერსიტეტის ეზოში, სტუდენტები და ლექტორ-მასწავლებლების ნაწილი რუსთაველისაკენ დაიძრნენ. ამ ტალღას თანდათან ემატებოდა ახალგაზრდობა და ხალხი, მთავრობის სახლის წინ ათასობით ადამიანი შეიკრიბა—აქ უმაღლესი საბჭოს სესია მიმდინარეობდა, აქ წყდებოდა კონსტიტუციის პროექტის 75-ე მუხლის ბედი—შეუნარჩუნდებოდა თუ არა ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი.

„ძლიერმა საპროტესტო ტალღამ, რომელშიც სტუდენტი-ახალგაზრდობა ჭარბობდა, აიძულა კრემლის პოლიტიკური ლიდერები წასულიყვნენ დათმობაზე—დატოვებულ იქნა მუხლი, რომელიც ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსს უნარჩუნებდა“—ამბობს ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის უშუალო მონაწილე ბატონი ომარი.

### „კარგია ბოშო, გამოიტანე დასაცავადო“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში გააგრძელა ძველი ისტორიის განხრით. სადისერტაციო ნაშრომი ხელმძღვანელს—პროფესორ ლევან სანიკიძეს წარუდგინა. ლევან სანიკიძეს გამოურთმევია ნაშრომი დასაწყის-დასასრულის ორ-ორი გვერდი წაუკითხავს და გაკვირვებული ომარისათვის უთქვამს „ლვინის გემო რომ გაიგო არ არის სავალდებულო მთელი ჭური დაცალო, კარგია ბოშო და გამოიტანე დასაცავადო“. მშვენივრად ჩაუვლია დაცვას. სიტყვით გამოსული ლექტორები ომარის წიგნიერებაზე უფრო მეტს საუბრობდნენ, ვიდრე ნაშრომზე, ნაშრომი ხომ თავისთავად კარგი იყო.

### ოჯახის შექმნამდე

მანამდე იყო სასკოლო და სტუდენტური ცხოვრება, „მსახიობობა“, სპექტაკლები, საზრიანთა კონკურსები, გართობა, ღამის კლუბი ვარშავაში, ძლივს რომ გამოიყვანეს გარეთ, სოჭის პლაჟზე გაპარვა და სლავური წარმოშობის გოგონების გამო თვალებდაქაჩული, მარტო ცქერით შემოფარგლულ ძმაკაცებთან ერთად ღამის გათევა პარკში და თვალებზე ლიბრგადაკრული ბიჭების უკან დაბრუნება... სამთვიანი სამხედრო სამსახური მესხეთში, თეორიული და პრაქტიკული სწავლება და ორმოცგრადუსიან სიცხეში მალულად ჩრდილში მიწოლა და 15-15 დღე „ნაობახში“ „დეზერტირობისათვის“.

### ოჯახი

1985 წელს ომარ ნიშნიანიძე ქუთაისში დაბრუნდა. ცოლად შეირთო მშვენიერი ნინო თხელიძე, ორი ქალიშვილი აჩუქათ უფალმა სალომე და ასმათი. შვილები, შვილიშვილები: თემო, ანდრია კიკვაძე, დანიელ თავაძე მისი სიამაყეა, სიძეებიც კარგი ჰყავს და მათი მშობლებიც.

„უშუქობა, უწყლობა, საერთოთ „უუუები“ ბლომად იყო იმ პერიოდში ყველა ჩვენგანის თავს“ იგონებს ბატონი ომარი, მაგრამ საოცარი მოგონებებიც იყო. ჭავჭავაძის ქუჩა №3-ში ბევრი ცნობილი ადამიანი ცხოვრობდა, ერთად ხშირად იკრიბებოდნენ. გარაჟში ბუხარი და მთელი რიგი საქეიფო მოწყობილობა ჰქონდა ომარს, შრომობდნენ კიდეც, ეზოში, რომელიც ეკალ-ბარდით იყო გადავლილი ყვავილები და ხეხილი გააშენეს, ჭაც გაჭრეს, რიგრიგობით ჩადიოდნენ მიწის მოსაჭრელად, ერთხელ, როცა ჭაში ჩასვლა ომარს მოუწია, ზევით მეზობელი ამირან ჩხაიძე მიწას ეზიდებოდა, მეზობელი მოსულა „მშვენიერი ელასტიკა“, ამირანს თავი და გონება „მოღრეცია“, ვედროსთვის ხელი შეუმსუბუქებია და უკან წასულმა სავსე ვედრომ ყურ-ბეჭი ჩაახია თურმე ომარს, მხატვარი თემურ თადუმაძე კი შეჩენია, თქვენი ოჯახი უნდა დავხატოო, თვალი დაუდგამს უგემრიელესი რაჭული მთის ბურვაკის ვიჩინასთვის, ორი კვირის სამუშაოს ორ თვეს მონდომია და მთელი ბურვაკიდან მარტო ერთი ბარკალი დარჩენილა.

### ბატონი ომარი ეროვნულ მოძრაობაში

80-იანი წლების მეორე ნახევარში ომარ ნიშნიანიძე, ამ დროისათვის ახალგაზრდა ლექტორი, ცდილობდა ლექციები ანტიკურ ისტორიაში ეროვნულ-პატრიოტული მოტივებით შეეზავებინა, სტუდენტებმა ნელ-ნელა იწყეს შემოკრება მის გარშემო, კაბინეტი თანდათან იქცა ახალგაზრდული მოძრაობის შტაბად. 1988 წლის ნოემბერში ზვიად გამსახურდია ქუთაისს ეწვია „გელათისაკენ გავემართეთ, ვგრძნობდით უშიშროება შორიახლოს მოგვყვებოდა, ეზოში არ შეგვიშვეს, ზვიადი შემაღლებულ ბექობზე დადგა და მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა, უაღრესად ამაღლებული განწყობით დავბრუნდით“—იხსენებს ბატონი ომარი. ამ პერიოდში მისი ორგანიზებით და რედაქტორობით გამოვიდა ოპოზიციური გაზეთი „სტუდენტური ფურცელი“. გაზეთი პოპულარული გახდა, დიდი წვლილი შეიტანა ქუთაისის სხვადასხვა ფენის ეროვნულ გათვითცნობიერებაში. ტარდებოდა მიტინგები, აქციები, ცხრა აპრილის ცნობილმა მოვლენებმა შედეგი გამოიღო. დაინიშნა უზენაესი საბჭოს არჩევნები, მაგრამ იგი არ შედგა, ეროვნულმა ძალებმა ბოიკოტი გამოაცხადეს, ვერც ეროვნული ძალების კონსოლიდაცია მოხერხდა. ზვიად გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა შექმნეს „მრგვალი მაგიდის“ ორგანიზაცია. 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ამ პოლიტიკურმა პარტიამ გაიმარჯვა. ჩატარდა ადგილობრივი არჩევნებიც, ქალაქის არჩეულ საკრებულოს დეპუტატთა შორის ბატონმა ომარმა ხმების ყველაზე მაღალი პროცენტი მიიღო, არჩეულ იქნა საკრებულოს მდივნად, სპიკერად. „დაიწყო ძნელი, მაგრამ საინტერესო მუშაობა ქალაქის პრეფექტურასთან და მის პრეფექტთან, პროფესორ არჩილ კოსტავასთან ერთად, მერე დაიწყო სამოქალაქო დაპირისპირება, დარბევები“—იგონებს ბატონი ომარი, რომელიც სხვებთან ერთად დააკავეს, მაგრამ მალევე გაანთავისუფლეს, უამრავი ხალხი შეიკრიბა მათ განსათავისუფლებლად.

იყო პერიოდი, როცა მხარს უჭერდა ნაციონალურ მოძრაობას, მალე დაინახა, რომ ქვეყანა ტოტალური ერთმმართველობისაკენ მიემართებოდა და როგორც თვითონ ამბობს „მალე გამოფხიზლდა“. ომარ ნიშნიანიძე აქტიური ოპოზიციონერი გახდა, ქართულ ოცნებას უჭერდა მხარს, დასახელებულ იქნა თერჯოლის მაჟორიტარობის კანდიდატად, ბოლოს ისე მოხდა, მაჟორიტარობის კანდიდატობაზე უარი თქვა და ქართული ოცნების პროპორციული სიით გახდა საქართველოს პარლამენტის წევრი.

ოთხწლიანი პარლამენტარობა აქტიური გამოდგა. იგი ხშირად

გამოდიოდა პარლამენტის სხდომებზე, მისგან ხშირად იღებდნენ ინტერვიუებს და კანონმდებლობით საქმიანობაშიც ჩაბმული იყო. ითვალისწინებდა ხალხის თხოვნებს, აწუხებდა სამინისტროებს, სხვადასხვა უწყებებს, უყურადღებოს არავის ტოვებდა და ბევრს დაეხმარა.

კვლავაც აქტიურია ბატონი ომარი. არის სრული პროფესორი, ქუთაისის პედაგოგიურ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს, ეწევა სამეცნიერო მუშაობას, არის თხუთმეტი წიგნის ავტორი, აქვს 150-ზე მეტი სტატია და სამეცნიერო ნაშრომი, სამეცნიერო ჟურნალ „ხანძთას“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორია, ხელმძღვანელობს ქუთაისის ისტორიის შემსწავლელ სამეცნიერო-კვლევით ცენტრს, ხშირად აფასებს სადისერტაციო ნაშრომებს ქვეყნის სხვადასხვა

უნივერსიტეტში თუ სამეცნიერო დაწესებულებაში.

ბატონი ომარი ყველაფერს ასწრებს: ესწრება ყველა ღონისძიებას, რომელიც მრავლად იმართება, ქეიფობს, თამადობს, მოგზაურობს, ჰყავს დიდი სამეგობრო მთელ საქართველოში, ცნობილ დევიზს „არც ერთი დღე გაკეთებული საქმის გარეშე“ ზედმიწევნით ასრულებს, კომუნიკაბელურია, ყველას უხარია მასთან ურთიერთობა, დროის გატარება.

### არგონავტები

კარგად მახსოვს 2019 წელი, როცა ბატონმა ომარმა უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად ფოთში ხომალდი „არგო“ ააგო. ინტერესი გამიჩნდა, მაგრამ ვერ შევხვდი მაშინ ბატონ ომარს და ცხადია, ვერც ეს საინტერესო ფაქტი ვაუწყე გაზეთ „თერჯოლის“ მკითხველს.

...და აუყვა ხომალდი რიონ-ფაზისს აღმა ვანისკენ. ამ ღონისძიებით კიდევ ერთხელ გაახსენეს სტუდენტებმა ქუთაისს და არა მარტო ქუთაისის საზოგადოებას ქვეყნის უძველესი ისტორია, გაღვივდა ინტერესი ძველი კოლხეთის და არგონავტების თემატიკის მიმართ, სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი არგონავტიკის მუზეუმს ქუთაისში.

პროფესორს და ლექტორს სტუდენტებთან ამ მოგზაურობის მეტი არც ერთი სასწავლო-შემოქმედებითი ღონისძიება რომ არ ჩაეტარებინა, ესეც საკმარისი იქნებოდა.

ასეთია ომარ ნიშნიანიძის, თერჯოლის საპატიო მოქალაქის წარსული, დღევანდელობა...

ვიდრე ეს წერილი დაიბეჭდებოდა, ბატონ ომარს თბილისში, მარტის პირველ დღეებში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გავესაუბრეთ, ვკითხეთ თუ როგორია მისი პოზიცია. მან ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გვითხრა: „ჩვენი ადგილი, რა თქმა უნდა, ევროპაშია!“

იმედია იგი მომავალშიც კვლავ ცხოვრების წინა ხაზზე იქნება, ჩვენს სტუდენტ-ახალგაზრდობასთან ერთად...

**ჟუჟუნა ცხადაძე**

# გაიცანით, ეს ანა ბეღელაძეა!

**მისი ადგილის დედა სიქთარვაა, თუმცა ქუთაისში გაიზარდა, იქ სწავლობდა №11 საჯარო სკოლაში, შემდეგ წერეთლის უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტი დაამთავრა. უყვარს ლიტერატურა, პოეზია. ლექსების წერა ჯერ კიდევ 12 წლის ასაკში დაიწყო, პირველი ლექსი მაშინ დაწერა. აქტიურად მონაწილეობდა შემოქმედებით და ლიტერატურულ კონკურსებში, ერთ-ერთი იყო ქართულ-იტალიური პროექტი: „წყვილისა და სიცოცხლის სამსახურში“, სადაც მეორე ადგილი აიღო ქალაქის მასშტაბით ნომინაციაში „პოეზია“—ხოლო ნაშრომისათვის „სიცოცხლე გამოწვევა, შეხვდი“ დიპლომი დაიმსახურა...**

**ახლა ანა ზედა სიმონეთში ცხოვრობს, მეუღლესთან, დავით თორთლაძესთან ერთად, რომელიც ამ სოფლის ადმინისტრაციული ერთეულის სპეციალისტია და სამ შვილთან ერთად. საბა, ბარბარე და ნატალი ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან.**

**მეამაყება, რომ ვარ ქართველი და ჩემი დიდი სურვილია ჩემი შვილების აღზრდაში ჩავდო ყველაფერი ქართული, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ ღირსეულ ადამიანებად და ჭეშმარიტ მართლმადიდებლებად. ჩემი ლექსებით მკითხველამდე მივიტანო ყოველი განცდა და თითოეულ მათგანში გავაღრმავო უფლის, სამშობლოსა და ერთმანეთის სიყვარული!**

**უფალმა დალოცოს ქართველი ერი. მშვიდობას ვუსურვებ სრულიად საქართველოს და ჩვენს სამყაროს, ეს ისაა, რაც ყველაზე მეტად გვჭირდება ყველას—ამბობს „თერჯოლასთან“ საუბარში ანა.**

## გაზაფხულის ბილიკებზე...

გაზაფხული აჩურჩულდა ორღობეში,
თებერვალო გამეცალე, გასწი დროზე,
დამაცადე ჩავაბნიო გვირილები,
სიცივისგან შეშინებულ მწვანე მოლზე!
დამაცადე მარტის თვეში გაგიჟება,
მენატრება კრთომა დამფრთხალ ათინათის,
ვითარეშებ გაზაფხულის ბილიკებზე,
როგორც ბავშვი ჭირვეული ხასიათის!
მერე აპრილს დავულოცავ მობრძანებას!
წვიმის თქეში გადაუვლის ლურჯ აისებს,
სიო ანცად შემოურბენს ეზო-ბაღებს
და მზე ფუნჯით შემოქარგავს მშვიდ დაისებს.
გამაცალე სუსხიანი საცეცები!
ახლა დროა ავდარს დარი მოვაყოლო,
მზეს შევუხსნა ოქროსფერი საკინძე და
შორ ჰორიზონტს გულზე თელხი მოვაშორო!
როგორ შვენით ვარდისფერი ჩითის კაბა,
მორიდებით გადაპრანჭულ ჯუჯა ატმებს,
ქარი ურცხვად უფრიალებს სარაფანებს
და შეწყვეტილ ღილებს მგზავრის თმებში აბნევს.
თავს იწონებს ძოწისფერი ბროწეული,
წითელ ბაგეს შეჰპარვია ღიმილები,
პირმცინარი ეგებება დილის რიჟრაჟს,
დაავიწყა აპრილის თვემ ტკივილები.
ემზადება მაისის თვე სამეჯლისოდ,
ზეცისფერი კესანების მდელო მოაქვს,
ფრთაშესხმული დანავარდობს ქალწულივით,
არე-მარეს სიცოცხლისფერ გამით მოსავს.
მზე კეკლუცობს იასამნის სველ რტოებში,
ქარი დათვრა, საბოროტოდ გაჩენილი,
ვერ გაბედა მრისხანებით შეჰხებოდა ,
სიყვარულის სუნი აქვსო შერჩენილი.
ვარდობისთვის დღეებია საოცარი,
ღაწვშეფაკლულ ვარდებს ცვარი შერჩენიათ,
მიტოვებულ ეზოებშიც სიცოცხლეა,
გაზაფხულის სუნთქვა მათაც შეჰხებიათ!
აკვანს არწევს, დავულოცოთ მობრძანება,
ყოველივეს ჩააყენებს თავის რითმში,
ახლა ყველგან გაზაფხულის ჰანგებია,
შეეგებეთ გაზაფხული ჩადგა რიგში!

2020 წ.

## დედოფალო

ღვთისმშობელო აგვიკინძე საქართველო,
გული უფლის სიყვარულით აგვივსე,
გვიწინამძღვრე გოლგოთისკენ სავალ გზაზე,
ცოდვილ სულში რწმენის ალი აგვინთე.
ღვთისმშობელო აგვიკინძე საქართველო,
ძარღვში სისხლი აგვიყვირე ქართული,
მიწა შენი წილხვდომილი დაგვიძიძგნეს,
სამყაროში ყველა ძღვენზე ზღაპრული.
ღვთისმშობელო დაგვილოცე ჩვენი ქვეყნის,
ყველა მხარე, ყველა კუთხე-კუნჭული,
დაგვილოცე მსოფლიოში ერთადერთი,
მშვიდობის და სიყვარულის კუნძული.
ღვთისმშობელო, უფლის ჯვარცმას ვერ ვპატიობ,
სამყაროს და...და ჩემს ცოდვილ ბუნებას,
ნაწამები ჩვენი ცოდვის სიმძიმით და...
ჩვენ კი მაინც აყოლილი ცდუნებას.
ქრისტე აღსდგა! მკვდრეთით
აღსდგა-ჭეშმარიტად!
და ამაღლდა ზეცად ნათელმოსილი,
ღვთისმშობელო, როგორ ვთხოვოთ პატიება?
რა გვაცხონებს?ცოდვით ვართ შემოსილნი.
ასე...ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ, ლუკმა-ლუკმა,
სულის საზღვრებს ვიბინძურებთ დღითი-დღე,
ეშმას სულში ვათარეშებთ დაცემამდე,
ღმერთთან თხოვნით რა ნამუსით მივიდეთ?
ღვთისმშობელო, დედოფალო, ჩვენო მზეო,
უძღებ შვილთა მაინც კალთით მფარველო,
შეგვეწიე, ბნელს ნათელი მოჰფინე რომ
იგუგუნოს ქვეყნად ყველა სამრეკლომ.
ღვთისმშობელო, ვით ლაზარეს გახრწნილ სხეულს,
უფლის ნებით აღდგინება ეწერა,
ბოროტის და მსტოვრის ხელით დაღრღნილ მიწას,
ერთიანი საქართველო ერქმევა!
არა! ვერვინ და ვერასგზით ვერ წააქცევს,
ღმერთო შენთან მტრობა ვის შერჩენია?
ღვთისმშობელო აგვიკინძე საქართველო,
ტკბილ უფალო იყოს ნება შენია!

14.01.2022 წ

## შენ!

იცი რა მიყვარს შენში?
ბავშვივით წრფელი გული,
კეთილი ფიქრი მიყვარს,
სიტყვა თვალებით თქმული.
რა მიყვარს იცი შენში?
ალალ-მართალი კაცი,
მზიანი სული მიყვარს,
კარგის რომ იცის ფასი.
იმედის მთქმელი მიყვარს
და ერთგულების ფარი,
მიყვარს ნოემბრის ხუთში
მე შენს თვალებში დარი.
მზრუნველი გული მამის,
ათასი განცდის მთმენი,
შვილებთან თამაშისას,
მიყვარს ღიმილი შენი.
უანგარობა კაცთან,
ძმურად დამდგომი გვერდში,
ყველა თვისება მიყვარს,
რაც კი ვიპოვე შენში!
ფოთოლცვენის დროს მინდა,
მაგრად ჩამჭიდო ხელი,
ყველა თვისება მხიბლავს,
რაც კი არსებობს შენში.
სუსხიან ზამთრის თვეში,
როცა ჩამოთოვს მთებში
გაზაფხულობდეს მინდა,
მზე ანათებდეს ჩვენში.
უსასრულობად მინდა,
გადავაქციოთ წამი,
დიდხანს ვიცოცხლოთ მინდა
ვერ მოგვერიოს ჟამი.

## დედაშვილობა...

დედაშვილობა მინდა დავლოცო,
გრძნობა ერთია ამგვარი წმინდა,
როცა ამ ქვეყნად აღარ ვიქნები,
შვილის თვალებში ვცოცხლობდე მინდა.
მადლობდეთ უფალს, რომ გქვიათ ,,დედა"
ეს სიმდიდრე და მძიმე ტვირთია,
შვილი აღზარდო მამულისათვის
ესაა ქვეყნად დედის მისია.
მეც გავიხარე მოწამეთობას,
ღმერთმა გამხადა დედობის ღირსი,
საღამოს ათზე მე შემეძინა,
ოქროსთმიანი ლამაზი ბიჭი.
და წლინახევრის შემდეგ უფალმა,
გოგო მაჩუქა და მიწყალობა,
გიორგობა დღეს, შუადღის ოთხზე,
მისი ტირილი მესმა გალობად.
წელიწადსა და რვა თვეში ისევ
უფლის ანგელოზს ველოდი თმენით,
ნათლისღება დღეს, საღამოს ცხრაზე,
მესამეს შევხვდი ჩემებურ რწმენით.
საბა, ბარბარე და ნატალია
ყელზე მოხვეულ მძივებს ვადარე,
მათზე ძვირფასი არც რა იქნება,
სანამ ვიცოცხლებ სულ თან ვატარებ.
ვინ იცის ზოგი ოცნებობს რაზე,
ვისთვის რა არის ბედი, იღბალი,
ამაზე დიდი სიმდიდრე ღვთისგან,
რა უნდა მერგოს აბა მითხარით?!

## დ ა ვ ბ რ უ ნ დ ე ბ ი !!!

საქართველო მენატრება, ქართველებო მენატრებით,
ჩემო ციცქნა მიწა-წყალო, მიყვარხარ და მეყვარები,
შემომაწვა ნოსტალგია, ზამთრის ბაღებს ფიქრი ათოვს,
მანდ კი ახლა გაზაფხული, როგორც ბავშვი ისე ანცობს.
რა ტკბილია ყველა წამი, მანდ, თუნდ ჭირში გალეული,
აქ მწარეა ყველაფერი, უბრალოც და ბრალეულიც,
ჩემო ზეცავ, ჩემო მიწავ, რის გულისთვის განგეშორე?!
ახლა ისღა დამრჩენია უცხო ქვეყნიდან გეტრფოდე.
გული დარდით დამებზარა, ცრემლების ჯაჭვს ბოლო არ აქვს,
ლოცვანი და ფსალმუნები ამ მხარეში ჯიბით დამაქვს,
ხატის წინ მდგარს, მერამდენედ დამდენია თვალზე ცრემლი,
ღამეები მითევია, სასთუმალი მქონდა სველი.
ლოცვით ვუძლებ ყველა ტკივილს, აბა სხვა რა გადამარჩენს?!
რომ იცოდეთ თქვენი ნახვა მე რა რიგად გამახარებს!
თვალწინ მიდგას ჩემი კერა და ბავშვობა გალეული,
მომენატრა შემოდგომა, ჟღალ ჩოხაში გახვეული.
დავბრუნდები! ჩემს სამშობლოს დასაკარგი შვილი არ ჰყავს!
ვიცი, ისიც დამიბრუნებს, მზიან ღამეს დილა ახლავს!

2012 წ.

* * *

ალბათ ცოტაა წუთი, სადაც არ იყო სევდა
და უფრო ცოტა ბედნიერ დღის ჩამონათვალი,
რადგან სხვის ტკივილს მივიჩნევდი ყოველთვის ჩემად
და სხვის ღიმილში მიძებნია გამოსავალი...

* * *

***„ალბათ ცოტაა წუთი, სადაც არ იყო სევდა“, წერს და მაინც ანა ახერხებს სიყვარულით, იმედითა და მონდომებით დაელოდოს გაზაფხულს, სრულად განიცადოს მისგან ნაბოძები სილამაზე, იყოს იმედიანად, რომ სამშობლოსათვის თავგანწირული გმირები მარადიულად იცოცხლებენ. საქართველო გამთლიანდება, ღვთისმშობელი დალოცავს და დაიფარავს მრავალჭირვარამგამოვლილს, უფლის, მამულისა და ადამიანთა ურთიერთსიყვარული, ასე საჭირო და აუცილებელი ისევ და ისევ დაივანებს ქართულ მიწაზე...***

***„თერჯოლა“ უერთდება ანას პოეზიის სტრიქონებში გაცხადებულ თუ შეფარულ ოპტიმიზმს და შემოქმედებით წინსვლასა და ოჯახურ ბედნიერებას უსურვებს ქალბატონს, რომელიც თავს ევლება ოჯახს, შვილებს, ესათუთება და აგვირისტებს გულწრფელ სტრიქონებს, განადიდებს და პატივს მიაგებს ყოველივე ამაღლებულს და ზნეობრივს...***

**მზია ცქიფურიშვილი**

# 21 მარტი ჟურნალისტიკის დღე

**პროფესიულ დღეს გილოცავთ კოლეგა-ჟურნალისტებო, ჩვენი გაზეთის მრავალრიცხოვან მკითხველს მადლობა შევუთვალოთ გვერდში დგომისთვის. კვლავაც გვჯერა საწერ თემას არ მოგვაკლებენ.**

**აღუთქვათ, რომ ყველაფერს დავწერთ რაც დასაწერია და არ დავწერთ იმას, რაც არ იქნება დასაწერი.**

**ვიყოთ ობიექტური ჟამთააღმწერნი—ეს არის ჩვენი უპირველესი მოვალეობა, შუბლზეც ეს გვაწერია!**

## შეგონება

მეპატრონეთაგან ერთ მცირე რამ სახელოსნოს კარებზე საგულდაგულოდ გამოფენილმა სიბრძნემ სასიამოვნოდ გამაოგნა, გონება ერთბაშად გამინათდა და გავბედნიერდი...

ირგვლივ მიმოვიხედე...

ადამიანები ბჭობდნენ აქეთურ-იქითურზე... ვინ თავისი ელექტროცელის ავკარგიანობაზე კითხულობდა „ლექციას“.

ვინ ხვიჩა კვარაცხელიას მიერ გატანილ გოლებზე ყვებოდა სულმოუთქმელად.

ასე კლავდნენ დროს კაცები. ერთმანეთს ტყუილს და მართალს უამბობდნენ.

ზოგი ალთას იყო, ზოგი ბალთას...

უკვე მეორედ თუ მესამედ თვალს ვავლებდი ასომთავრულით ნაწერ შთამბეჭდავ სტრიქონებს: „დილით უთხარი საკუთარ თავს, რომ დღეს იხილავ მრავალ უმადურ, მოღალატე, მოძალადე, შურიან თუ ურწმუნო ადამიანთ, რომლებსაც სიკეთეში წვლილი არ მიუძღვით. უთხარი საკუთარ თავს, რომ ამით შენ ზიანი არ მოგადგება, ვერავინ შეგაცდენს. შენ არავიზე განრისხდები, არც არავის შეიძულებ, რადგან თქვენ სამყაროში მოვლენილი ხართ თანასწორობისათვის“.

**მარკუს ავრელიუსი**

ვკითხულობდი და ვიყავი ბედნიერი...

და ვგრძნობდი, როგორ მიყვარდნენ ადამიანები, რომლებიც უამბობდნენ ერთმანეთს თავიანთი ელექტროცელის „ავკარგიანობის“ ამბებს.

ახლა, ჩვენ ჩვენი პროგნოზები კი არა, სახეზე რეალური ამბები გვაქვს. ახლა ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ფეხბურთი კვლავ პირველობს, კვლავაც პოპულარულია, და...

და ისევ საქართველოს ნაკრების მომავალზე ვფიქრობთ...

თითქოს უკეთესობისკენ მიგვიდის საქმე...

კვარაცხელიაც გამოგვიჩნდა...

იქ, ევროპის საფეხბურთო მინდვრებზე სხვა ქართულმა გვარებმაც მიიპყრეს მაყურებელთა მზერა, ვნახოთ, ეგებ...

მაგრამ, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. ვნახოთ, ჩვენი ქვეყნის ნაკრები „თვითგამორკვევის“ ლაბირინთებში როგორი წარმატებით გაუყვება არეადნეს ძაფს...

## პატარ-პატარა, მაგრამ საინტერესო ამბები...

— საბრალო კვაზიმოდო: სევდიანი თვალებით გადმოსცემდა სულიერ ტკივილს—ფიზიკურად მახინჯი იყო, მაგრამ... უყვარდა!

— ლეგენდასავით სინამდვილე—ლუჩანო პავაროტი მსოფლიო ბანი იძულებული იყო საოპერო სპექტაკლები დაეზეპირებინა, რადგანაც ნოტების კითხვა არ იცოდა!

— „საქართველოს ძლიერება მის სულიერ ერთიანობაშია“—ეჰეეი, როდის ბრძანა გიორგი ჭყონდიდელმა...

—„სინდისი“—ეს არის გონებაი მამხილებელი!“—საწუხარს წერდა დიდი სულხან საბა-ორბელიანი.

— საინტერესო მწერალი რევაზ ინანიშვილი საინტერესოდ გვიყვება ლევან გოთუას შესახებ: „სუფთა, თითქოსდა მზეზე ოდნავ მოჟურული ალერსიანი თვალებით უყურებდა ქვეყანას. ასეთი თვალები მხოლოდ ძლიერებსა და სიკეთით გულსავსე ადამიანებს აქვთ.

— საქართველოს მეფე გიორგი ბრწყინვალემ მემატიანის ცნობით ქართველ კაცს დაუბრუნა რწმენა...

— მიქელანჯელოს ნამუშევრის—„სიქსტის კაპელასთან“ მშვენიერებით გაოგნებული მნახველები მდუმარებით გამოხატავენ აღტაცებას!

— ერთი არღვევდა თურმე სიჩუმეს—„ზედმეტად უნაკლოაო“...

— ამერიკელი სატირიკოსი მწერლის კურტ ვინეგუტის ნატვრა: ღმერთო მომეცი ძალა შევცვალო, ის, რაც შესაცვლელია!

მომეცი მოთმინება—ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შეიძლება!

— გოეთემ სიკვდილის წინ შეჰღაღადა: „შეჩერდი წამო, რა მშვენიერი ხარ!“

**თხოვნა მკითხველს:** გამოგვიგზავნეთ თქვენეული ვერსია ანალოგიურ შემთხვევაში რას წამოიძახებდა ვაიმარელი ბრძენის თანამემამულე კაცთმოძულე ადოლფ ჰიტლერი?

## ჭადრაკი და... ისევ ნინი წივწივაძე

1-9 თებერვალს ქ. ქუთაისში გაიმართა იმერეთის ჩემპიონატი ჭადრაკში 7-9-11-13 და 15 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის.

დაძაბულ პაექრობაში თერჯოლის სპორტული სკოლის აღსაზრდელმა ნინი წივწივაძემ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა და მოიპოვა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის საგზური (13 წლამდე ასაკის გოგონათა შორის).

ვულოცავთ წარმატებას, თუმცა, მისგან ჭადრაკის მოყვარულნი მხოლოდ პირველ ადგილს მოელიან!...

იმედი გვაქვს ეს ასეც იქნება.

მწვრთნელს, ჭადრაკში ოსტატობის კანდიდატს გია ჭუმბურიძეს სჯერა თავისი აღსაზრდელის.

ჭადრაკის მოყვარულებსაც სჯერათ.

## კითხვა კალათბურთის მოყვარულებს



მორჩილი ტანის, მაგრამ ვერცხლისწყალივით მოძრავ ფერადკანიან ტედ-მაკფადენს ბევრი თაყვანისმცემელი დაუგროვდა საქართველოში. მან დიდი წვლილი შეიტანა ისლანდიის ნაკრებთან ისტორიული მატჩის მოგებაშიც...

ბოლომდე იხარჯება... ჩვენი ტაში მას...

ამ კეთილსინდისიერმა სპორტსმენმაც შეიყვარა ჩვენი ქვეყანა.

მაგრამ... მოგეხსენებათ ყოველი დასასრული სევდიანია...

„განშორების მსუბუქი ცრემლი“ კალათბურთის მოყვარულებსაც გველოდება, ეს მაშინ მოხდება, როცა თავის კარიერას დაასრულებს ტედ-მაკფადენი.

**ახლა კითხვა მკითხველს:** საქართველოსთან განშორების ჟამს რას ჩაილაპარაკებს სევდამორეული ტედ-მაკფადენი?

მახვილგონივრული პასუხები გამოქვეყნდება.

## მარადიული კითხვა— როდის გავსხლათ ვაზი?

მართლაც, ამ „მარადიულ“ კითხვას შეიძლება მარტივად გავცეთ პასუხი:—ეს ცაზეა დამოკიდებული—როგორი იქნება ზამთარი? ან გაზაფხული რას გვიქადის?..

ვფიქრობთ პასუხი 50/50-ზეა, ანუ გამართლებაზე. ასე რომ, გადაჭრით იმის თქმა შემოდგომაზევე გავსხლათ „ვაზი შვილივით ნაზარდი“, თუ გაზაფხულზე, ამის ასპროცენტიანი საბუთი არ არსებობს.

რაც შეეხება წინამდებარე სტრიქონების ავტორს, ის ვერ დაიკვეხნის მაინცდამაინც ამ საქმის ღრმა ცოდნას, მაგრამ, მაინც გაზაფხულის პირს ამჯობინებს ვაზის გასხვლას.

**გვერდის ავტორი**
**ნუგზარ გამყრელიძე**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
1. დედა. 2. დედამიწა. 3. დედისერთა. 4. დედაბოძი. 5. შვილთაშვილი. 6. გაბაშვილი (ეკატერინე). 7. ჩიბურდანიძე (მაია). 8. კალანდაძე (ანა). 9. მარიამობა. 10. აბაკელია (თამარი). 11. დედის... 12. ალექსანდრია (ნანა). 13. მოძღვარი. 14. ჭიაურელი (სოფიკო). 15. დედული. 16. კილასონია (ნაზი). 17. დედაშვილობა.

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ სოფიკო და რამაზ კირკიტაძეებს მამის და სიმამრის

**ჯიმშერი კუბლაშვილის**

გარდაცვალების გამო.

# „თერჯოლა საბადოა ნიჭიერი ახალგაზრდების“...

## რეპორტაჟი სამხატვრო სკოლის დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გამოფენიდან...

**ლამაზად გამოიდარა 7 მარტს თერჯოლაში. თოვლქვეშ განაბულმა ია-ფურუსულებმა ჯერ კიდევ მარტამდე ამცნეს სამყაროს ბუნების გამოღვიძება, გაზაფხულის მობრძანება.**

**„ზეაღმატებული ემოციაა დედობა“, ეშხი და სილამაზეა ზოგადად ქალად ყოფნა, უდიდესი მისიაა, პატივია, უპირატესობაა... ამიტომაც იყო ქალს, დედებს განსაკუთრებული მოწიწებითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ, ასე გრძელდება დღემდე.**

**7 მარტი გამორჩეული იყო თერჯოლაში, ყველა დასაქმებულ ქალბატონს ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცეს, ყვავილები და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს მერიის და საკრებულოს ხელმძღვანელმა მუშაკებმა.**

სამხატვრო სკოლაში მოწყობილი მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენაც ამის დასტურია.

ერთი დიდი სიამოვნებაა გამოფენის დათვალიერება, სადაც გაზაფხულისა და ქალის სილამაზე თითქოს ერთმანეთს გაჯიბრებია.

სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრებში გამორჩეული ადგილი ქალის პორტრეტს უჭირავს, როგორც სკოლის დირექტორი, ქალბატონი თამარი „თერჯოლასთან“ საუბარში აღნიშნავს: „მოსწავლეებმა თავიანთი დედების დახატვა სცადეს, ვის როგორ გამოუვიდა ამას დედები და

დამთვალიერებლები შეაფასებენ, საერთოდ კი, პორტრეტის თემა ძალზე საფრთხილოა“.

გარდა პორტრეტებისა, გამოფენას ალამაზებს გემოვნებით შედგენილი მისალოცი ბარათები, ყვავილები. ფერწერისა და გრაფიკის მაღალ დონეზე შესრულებული ნიმუშები და ა.შ.

გამოფენაზე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს გივი წაქაძის ნამუშევრებს, მისი ნიჭიერების შესახებ არაერთხელ აღუნიშნავს თამარს. გივი ამ გამოფენაზეც ორიგინალური და საინტერესო ნამუშევრებით დაამახსოვრებს თავს დამთვალიერებლებს. ასევე შეიძლება ითქვას ნატალია მაკარიძის, მარიამ ცერცვაძის, ელენე გამეზარდაშვილის და სხვათა ნამუშევრებზე.

საგამოფენო დარბაზში დამთვალიერებელთა სიმრავლეა. მოსწავლეთა დედები თუ საზოგადოების წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელი პირები ინტერესით ათვალიერებენ გამოფენას. ბედნიერი ღიმილი დათამაშებთ დედებს სახეზე...

შეკრებილ საზოგადოებას მიმართავს მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი გურამ თურქაძე. მან სკოლის პედაგოგებს და დამთვალიერებელ ქალბატონებს დედის დღე და ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი მიულოცა და მოეფერ-მოესიყვარულა თითოეულს.

მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატმა, მერის მოვალეობის შემსრულებელმა მანუჩარ რობაქიძემ თავისი მისალმება სკოლის დირექტორის, მასწავლებლების და მოსწავლეთა მიმართ სამადლობელი სიტყვით დაიწყო. „მადლობა თითოეულ თქვენგანს, ასე ხშირი და ლამაზი გამოფენებისათვის. დიდზე დიდი სიამოვნებაა და სიხარულია აქ მოსვლა და ახალ-ახალი გამოფენების დათვალიერება. ამ სკოლაში დიდ საქმეს ეყრება საფუძველი, თქვენი აღზრდილი მოსწავლეები შემდეგში წარმატებული არქიტექტორები, დიზაინერები და ა.შ. არიან. მალე სრულიად საქართველოს მოიცავენ არქიტექტორები, რომელთა წარმატება სწორედ ამ სკოლაში დაიწყო.

საუკეთესო აღმზრდელები და უნიჭიერესი მოსწავლეები ქვეყნის წარმატებულ მომავალს ჰქმნით. მადლობა ამისთვის“.

შემდეგ კი მან ქალთა დღესასწაული მიულოცა და კიდევ ერთხელ ჯანმრთელობა და შემდგომი წარმატებები უსურვა სკოლაში მოღვაწე თითოეულ ქალბატონს,—ასევე დამთვალიერებელთა შორის მყოფ ქალბატონებს...

ქალბატონმა თამარმა თავისი გამოსვლა გამოფენის გახსნაზე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთა მისამართით სამადლობლით დაიწყო, შემდეგ კი მან ძალიან მნიშვნელოვანი და სასიხარულო ინფორმაცია გააჟღერა, რომ მას დაუკავშირდნენ სამხატვრო აკადემიიდან და არის შეთავაზება თერჯოლის სამხატვრო სკოლის ნიჭიერ მოსწავლეთა ნამუშევრების სამხატვრო აკადემიაში გამოფენის თაობაზე. ეს არის შედეგი წარმატებული საქმიანობისა, რასაც სკოლა ეწევა... ანუ ეს არის აღიარება, რაც ბუნებრივია ამ სკოლის, თითოეული თერჯოლელის სიამაყეს უნდა იწვევდეს...

კიდევ ერთი საინტერესო ეპიზოდი—თამარ ღარიბაშვილმა რაიონის ხელმძღვანელ მუშაკთა, პედაგოგთა, მოსწავლეთა და გამოფენის დამთვალიერებელთა წინაშე წარადგინა საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის 2022 წლის ლაურეატი საბა ძოწენიძე. თამარმა ისაუბრა საბას, როგორც განსაკუთრებული ხედვის, შინაგანი მოწოდებით მხატვრის პიროვნებაზე, რომლის შესაძლებლობები ამოუწურავია და აქვს მოლოდინი სამომავლოდ მისი შემოქმედება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში კიდევ უფრო მრავალფეროვანი და ნაყოფიერი იქნება.

თამარმა წარმატებები უსურვა საბას და მას საზეიმო ვითარებაში ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკორის სახელმწიფო ცენტრის მიერ ლაურეატობის დამადასტურებელი მოწმობა გადასცა.

თამარმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, თერჯოლელი ახალგაზრდების გამორჩეული მიდრეკილებას ხატვის ხელოვნებისადმი, „თერჯოლა საბადოა ნიჭიერი ახალგაზრდების“, გარდა იმისა, რომ სკოლა ხელს უწყობს ნორჩ თერჯოლელებს ხატვის ხელოვნების დაუფლებაში, დიახ, ისინი ამ სკოლაში პიროვნებად ყალიბდებიან... ეს კი აქ მოღვაწე აღმზრდელების დამსახურებაა.

სკოლის დირექციისა და პედაგოგთა მიმართ სიყვარული, პატივისცემა და მადლიერება გამოხატა თავის გამოსვლაში თერჯოლის №1 საჯარო სკოლის დირექტორმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა ელისო მურადაშვილმა. მან ქალთა დღესასწაული მიულოცა პედაგოგებს. „აქ მიღებული გაკვეთილები ხატვაში აისახება ჩვენი სკოლის მოსწავლეებზე, რომლებიც აქ სწავლობენ ეს თქვენი ხელწერაა, რომ ისინი გამორჩეულნი არიან, რისთვისაც მინდა მადლობა გითხრათ—აღნიშნა მან“.

ხელისუფალთა სტუმრობა სამხატვრო სკოლაში სარვამარტო გამოფენაზე პედაგოგი ქალბატონებისათვის ისევ მილოცვებით, ყვავილებისა და სიმბოლური საჩუქრების გადაცემით დასრულდა.

იმ დღეს თერჯოლაში იშვიათად ნახავდით ქალბატონს ყვავილების გარეშე.

**მზია ცქიფურიშვილი**

**შპს „თერჯოლა“**

გამომცემელი
**ვალერიან გოგიაშვილი**
**599 92 49 75**

მთავარი რედაქტორი
**დავით კლდიაშვილი**
**599 91 24 14**

**სარედაქციო კოლეგია**

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

**მისამართი:**
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872